პარასკევი 4 სექტემბერი 1915 წ. წ. I.

საქართველო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გადასახადი ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ფული მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 168 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 168

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

თდ. დიმიტრი სიმონის ძე წერეთელი უგულითადეს მადლობას უძღვნის ნათესავთ, ნაცნობთ, მეგობართ და ყველა იმ პირს, რომელთაც მისი დაუვიწყარი მეუღლის

სოფიო (გოგოლია) იოსების ასულის წერეთლის

გადაცვალების გამო პირადი დასწრებით, თუ წერილობით პატივი სცა და თანაგრძნობა გაუცხადა.

1—1—1031

ახლად დაარსებული საზოგადოების „სინათლის“ მიერ 9 სექტემბერს

გაიხსნება ქ. ქუთაისში ქალთა ქართული სასწავლებელი

(ორი მოსამზადებელი და პირველი პროგიმნაზიური კლასი).

მსურველთ პირობების გასაგებათ შეუძლიათ მიმართონ ჯერ-ჯერობით ქართული გიმნაზიის შენობაში ბ. ი. ოცხელს. იქვე მიიღება თხოვნებიც.

7—4

გამოვიდა და იყიდება მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში ქართული წიგნი:

„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“,

შედგენილი ს. რ. გოლგაძის მიერ. ფასი 6 აბაზი.

დაიბეჭდა ა. გარსევანიშვილის წიგნაკი მაია—მათე ყაჩაღათ წოდებული.

იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში.

ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია უფლებებ მოკლებული

მ. ბ. კვინიხიძის

(თფილისის ქუჩა, სახლი ფრ. წერეთლისა).

აცხადებს, რომ მისადები გამოცდები ყველა კლასში დაიწყება 18 აგვისტოდან, სწავლა კი 1 სექტ. პროგიმნაზიას აქვს აგრეთვე საანბანო განყოფილება, სადაც მიიღებიან სრულიად მოუმზადებელი ბავშვები.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდი და ნაშუადღევისან საათიდან საღამოს 8 საათამდი.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი ბ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის უოფილი ქალაქის თავის დ. ა. ფორთქიფანიძის სახლი. თ.

ექიმი ი. ჩარეიშვილი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი ვარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ ხახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძის სახლი. თ.

ექიმი ბაბრიელ იოსების ძე გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.

ბოდეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 3 ენკენისთვიდან, მხოლოდ 2 დღით ახალი პროგრამა.

პატე ჟურნალი. № 231 თანამედროვე ცხოვრებიდან.

სენსაციური პიესა სეზონისა. სვამდა ღვინოს და ხარხარებდა.

თანამედროვე დრამა ოთხ ნაწილათ. გამოჩენილ არტისტების ბ.ბ. ივანიკოვის, იანუშევის, ბაკშევისა და იზვოლსკის მონაწილეობით.

ანონსი: ორშაბათიდან ნაჩვენები იქნება გაგძელება მიდიონების გიბნოზის ქვეშ. მე-3-ე და მე-4-ე სერია.

ქ. ქუთაისი.

ექიმი ქალი ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

ლ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა

ღებულობს შინაგან და ქალთა ავათმყოფობით

სნეულებს დილის 9—12 საათ. ტ საღ. 5—6 ს.

ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები.

თვ. 975

დ. ყვირილაში სამოსწავლო მთავრობის ნებართვით, ყუბარაძის სახლში

გაიხსნა მოსამზადებელი სასწავლებელი,

სადაც მოამზადებიან ბავშვები ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლისათვის: გიმნაზიის, რეალურის, კომერციულისთვისა და სხ.

ფასი ოცი მანეთიდან წელიწადში. სტუდენტი ვარლამ ფერაძე.

14—9—963

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელეგისა და საგალანტერიო საქონლისა.

რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

თვ.

ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

კავკასიის ასპარეზი.

ოფიდისი. 2 სექტემბერი. ოფიციალური. 30 აგვისტოს განმავლობაში ზღვის პირის რაიონში სროლა იყო.

ოლთისის მიმართულებით ოსმალების მზვერავებთან ჩვენებს შეტაკება მოუხდათ თევასთან.

მელიაზგერტის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ოსმალები განდევნა არჯიშიდან. დანარჩენ პირზე ცვლილება არ მომხდარა.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 1 სექტემბერი. ოფიციალური. გრძელდება გერმანელების შემოტევა პიქსტერნისა და საუკენის ტბების რაიონში სოფ. რაკიშკისთან, იაკობშტატ-დვინსკის ხაზის დასავლეთით. ბოდბროძეს რკინის გზის სადგურის დასავლეთით მეიშაგოლის რაიონში ბრძოლა ძლიერ გამწვავდა, ორანიდან დაწყებული სოფელ კოსოვამდე გაგრძელებულ პირთ მტერი ფთხილად მოიწევს წინ აღმოსავლეთისაკენ. ეფრო სერიოზული ბრძოლა ხდებოდა სოფ. მოსტისა და ოზერნიცის რაიონებში სლონიმის დასავლეთით. მდ. პინას დასავლეთით მტრის ცხენოსანი რაზმი უკან წავიდა მდ. ტურიასა და პრიპიატის ნაპირებზე მდებარე სოფლებისაკენ. ზვიცესთან, დერაჟნოს რაიონში, ჩვენები ჯარგად გადავიდნენ მდ. მარინზე და ბრძოლით დაიპყრეს სოფ. ოლეშკა. აქ დაატყვევეს 1,300 მტერი ჯარისკაცი. 31 აგვისტოს ჩვენმა ჯარმა ქალაქ ვიშნევიცის დასავლეთით მდებარე რაიონში განდევნა მტერი სოფ. რადომისლიდან და მის მიდამოებიდან აქ მტერი მსწრაფლ უკან იხევს და შემდეგ დიდის ზარალით უკუგდებულ იქნა სოფ. როსტოკიდან. ჯერ-ჯერობით აღნუსხულ ტყვეთა რიცხვი აღწევს 20 აფიცერსა და 2000 ჯარის კაცს; მტერი კონტრ-იერიშის მოტანას ცდილობდა სოფ. გონტოვოსა და დიტკოვცას რაიონში, ვიშნევცის სამხრეთ-დასავლეთით; ამით მტერი სცდილობდა ჩვენი შეტევის შეკავებას, მაგრამ ვერას გახდა, რადგან მოგერიებულ იქნა ჩვენი სროლით. აქაც ტყვედ წამოვიყვანეთ 140 აფიცერი და 7300 ჯარის კაცი. ხელთ ვიგდეთ 6 მსუბუქი ზარბაზანი, 4 ყუთი ყუმბარებისა, 4 ტყვიის მფრქვეველი და ბევრი სამხედრო მასალა. გალიციაში მტრის დევნის დროს, რომელიც მდ. სერეტის პირიდან უკან იხევდა დასავლეთით, რამდენიმე ცხარე შეტაკება მოხდა სოფ. გლიიდკისა, ცემროვისა და იუზეფოვკის რაიონებში ტარნოპოლის დასავლეთით, აგრედვე სოფ. ძვინიაჩასა და ზალეშჩიკოვის რაიონებში. იუზეფოვკისა და ძვინიაჩის სამხრეთით მდებარე რაიონში ბრძოლების დროს 30 აგვისტოს განმავლობაში ხელთ ვიგდეთ 2,700 ჯარის კაცი და 25 აფიცერი. აგრედვე 4 ტყვიის მფრქვეველი. 17-დან 30 აგვისტომდე დატყვევებული ავსტრიელ-გერმანელთა რიცხვი 40,000 კაცამდე ადის.

შავ ზღვაში ქვანახშირის რაიონში ჩვენმა ნაღმოსნებმა დაღუპეს ოსმალების დიდი გემი.

მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 2 ეკენისთვე. დვინის ჩრდილო-დასავლეთით მოპირდაპირემ ძლიერი სააარტილერიო ცეცხლი გააჩაღა, ილუკსტ-ელოვკის გზატკეცილის რაიონში.

დვინის დასავლეთით, ოვილისა და ვოიკუცის ტბების შუა და დვინის გზატკეცილსა და სამავას შუა მტერი უშედეგო იერიშებს აწარმოებს. დავგელიშკიდან და კოჩერეიშკიდან გერმანელები გამოვრეკეთ. ვარშავის რკინის გზის აღმოსავლეთით მდ. ვისლის ფრონტთან მტერი უკუ ვიგდეთ.

სკიდელის აღმოსავლეთით სოფელ ჟიგუნთან და ვოლკოვისკ-ლიდა რკინის გზის რაიონში კერძო შეტაკებები ხდება. ნემანის ზემო მიმდინარეობასთან მტერმა არა ერთხელ მოიტანა იერიში. მოსტის სამხრეთით მდ. ელნის იქით მტკრი შეავიწროვა ჩვენმა მფარველმა ჯარმა. ამავე სოფლის აღმოსავლეთით გერმანელების თავგანწირული იერიში მოვიგერიეთ.

კარტუზსკაი-ბოროზა—სინიავკას გზატკეცილით მტრის მოწინავე ჯარი მოვიდა მდ. გართან. იასელდსა და პინის შუა ბრძოლა დაიწყო ჰიისკის ჩრდილო დასავლეთით და დასავლეთით სოფლებთან: მოტილ-ნოვოლუჩკა პოტაპოვიჩთან. კოველის აღმოსავლეთით, მდ. სტოხოდაზე მედგარი ბრძოლის შემდეგ სოფლებ გულევიჩისა და რუდკასიტოვიჩის ხელში ჩაგდების დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ ორი აფიცერი, 74 ჯარის კაცი და 4 ტყვიის მტყორცნელი ვიხელთეთ. პრიპიატის სამხრეთ ფრონტზე ჩვენგან შევიწროვებული მტერი ადგილ ადგილ კონტრიერიშზე გადადის. დუბნოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, კორბალიშჩესაა და პოგორელიცთან მტრის პოზიციის ხელში ჩაგდების დროს ვიხელთეთ ერთი ზარბაზანი, შვიდი ტყვიის მტყორცნელი, ტყვეთ წამოვიყვანეთ 57 აფიცერი და 2593 ჯარისკაცი. ამის შემდეგ მტერმა კონტრ-იერიშით უკან დაახევინა ჩვენს ჯარს.

ტარნოპოლის ჩრდილო-დასავლეთით გლადკა-ვორობიოვკასთან ბრძოლის დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ 5 აფიცერი, 547 ჯარისკაცი. ვიხელთეთ ორი ტყვიის მტყორცნელი. სოფელი ვორობიოვკა და მის ჩრდილოეთით მდებარე ტყე ხელიდან ხელში გადადის. ტარნოპოლის სამხრეთ დასავლეთით მდ. სტრიპაზე მედგარი იერიშებით დავიკავეთ სოფელი ბენიავა. მტერი გაიქცა მდინარის იქით. აქ მტერმა დიდი ზარალი ნახა. სტოიპაზე თავგანწირული ბრძოლა სწარმოებს გრემბოვლის დასავლეთით, ბურკანოვის ტყის რაიონსა და სოფელ ზლოტნიკთან. საღამოთი ჩვენმა ჯარმა გაარღვია მავთულის ღობეები და შტიკებით გამოდევნა მტერი თხრილებიდან. დავიკავეთ ტყე და სოფელი მტერი კი გავდევნეთ სტრიპის იქით. აქ ტყვეთ ჩავიგდეთ ხელში 1500 ჯარის კაცზე მეტი.

ქრისტიანზანდი. 1 ეკენ. გერმანიის წყალქვეშა ნავმა დააკავა ნორვეგიის გემი „გაისენი“ რომელიც დატვირთული იყო ხეტყის მასალით და მოდიოდა ინგლისიდან. გემი წაიყვანეს გერმანიისკენ. ამავე ნავმა ცეცხლი წაუკიდა ნორვეგიის ხომალდს „ვენოვეა“-ს, რომელიც დატვირთული იყო პრობკებით.

ვინჩენცა. 1 ეკენ. დილის 8 საათზე ავსტრიის ჰაეროპლანმა იტალიის ბაირაღით გადაიფრინა ქალაქის თავზე და 4 ყუმბარა ჩამოაგდო. სუბუქათ დაიჭრა ოთხი კაცი.

სერბიის მეფის პასუხი: მთელი სულითა და გულით გმადლობ, თქვენო უდიდებულესობავ, იმ გულითადი სიტყვების გამოთქმისათვის, რომლითაც თქვენ მიმართეთ სერბიას. მოთხოვნილებას ვგრძნობ გადავსცე თქვენს დიდებულებას, როგორც ერთგული გამოძთქმელი ერისა და სერბიის ჯარის გრძნობისა, გულითადი მოსურვებით რომლითაც ჩვენ ვულოცავთ დაუძლეველ ჯარს წმინდა რუსეთისას, რომელიც ღვთის შეწევნითა და წინამძღოლობით მისი უმაღლესი ბელადისა მოიფენს ახალს დიდებას საერთო მტერთან ბრძოლაში.

ჩერნოგორიის მეფის პასუხი: სიხარულით მივულოცავ თქვენს იმპერატორობითი უდიდებულესობას თავის დიდებული ჯარის უმაღლესი წინამძღოლობის მიდებას, რომელნიც არ დააყოვნებენ მოიფინონ თავი ახალი დიფნის გვირგვინით' მათი უავგუსტოესი დიდებული ბელადის წინამძღოლობით.

ინებეთ, თქვენო უდიდებულესობავ, მიღება ჩემი გულწრფელი მოლოცვისა, იმ დიდებული გადაწყვეტილების გამო, ჩემი ხალხისა და ჩემი არმიისა, რომლებიც გაამაყე, ბულნი თქვენი უმაღლესი განწყობილებით, აორკეცებენ თავიანთ ძალონეს დღევანდელს მდგომარეობაში, რომ ხელი შეუწყონ და გაყვენ თავიანთ გასაღმერთებელს მფარველს სუსტის საკეთილდღეოთ, სამართლიანობისა და თავისუფლების დაცვაში, რომელთა განხორციელებაც თქვენ აიღეთ თქვენს ძლევა მოსილ ხელში.

პასუხი ინგლისის მეფისა: ბედნიერი ვარ გაგონებით, რომ თქვენ მიიღეთ უმაღლესი წინამძღოლობა მოქმედი ჯარისა. გულწრფელად ვიზიარებ თქვენს რწმენას, რომ თქვენ, თქვენი გმირული ჯარი და ჯარი მოკავშირეებისა მიაღწევენ ღირსეულსა და მტკიცე საბოლოო გამარჯვებას.

იტალიის მეფის პასუხი: ვმადლობ თქვენს უდიდებულესობას, იმ მოსურვებისათვის, რომლითაც თქვენმა უდიდებულესობამ ინება ჩემთან მომართვა. დარწმუნებული ჩვენი გამარჯვებისადმი, მე ჩემი მხრით გიცხადებ უგულწრფელეს მოსურვებას და ბედნიერებას თქვენს დიდებულებას და გამარჯვებას ძლევა მოსილ რუსის ჯარს, რომლის უმაღლესი სარდლობაც ესეც არის თქვენ თავზე მიგიღიათ.

ბელგიის მეფის პასუხი.

გმადლობ იმ სიმპატიისათვის, რომელიც გამოსთქვით ჩემს წინაშე ბელგიისა და მისი არმიის მიმართ ამ მძიმე და ხანგრძლივ განსაცდელის დროს.

პასუხი იაპონიის იმპერატორისა:

სიხარულით ვეგებები თქვენი უდიდებულესობის მიერ მთავარ-სარდლობის მიღებას. ვმადლობ თქვენს უდიდებულესობას ჩემდამი კეთილი მოსურვებისათვის, რომელიც მიმტკიცებს ჩემდამი მეგობრულ განწყობილებას, რომელიც ძვირფასია ჩემთვის. დარწმუნებული ვარ ძლევა მოსილი რუსის ჯარი განაგრძობს ტრადიციულ დიდებას და თქვენი უმაღლესი წინამძღოლობით მიღწევს საერთო საქმის გამარჯვებით დაგვირგვინებას.

პეტროგრადი. 9 აგვისტო. განათლების მინისტრმა საოლქო მზრუნველთ აუწყა, რომ კომერციულ და რეალურ სასწავლებელში კურს დასრულებულთ ნება ეძლევათ ჩაირიცხონ უნივერსიტეტებში გარეშე მსმენელებათ თავისუფალი ვაკანსიების დროს, თუ რომ თავისუფალი იქნებიან სამხედრო ბეგარისაგან.

ომი და ზავი.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

ომი და ინგლისის მუშები.

ამ დღეებში დასრულდა ინგლისის ტრედიუნიონების წარმომადგენელთა კონგრესი.

კონგრესმა ორი მეტათ საყურადღებო რეზოლიუცია გამოიტანა: ერთი ომის შესახებ, ხოლო მეორე ინგლისში სამხედრო-ბეგარის შემოღებისა. ომის რეზოლიუცია ადასტურებს იმას, რასაც წინათვე „ბრიტანეთის სოციალისტური პარტია“ დაადგა.

როგორც ეს პარტია ისე ტრედიუნიონების კონგრესის რეზოლიუცია ალიარებს ლოზუნგს: „ომი ბოლომდის“ ინგლისში არსებობს და მოქმედებს აგრეთვე „დამოუკიდებელი სოციალისტური მუშათა პარტია“ და ის ამ ლოზუნგის წინააღმდეგ ილაშქრებდა და ახლაც ილაშქრებს; მაგრამ, როგორც მუშათა კონგრესი გვიჩვენებს, მისმა აგიტაციამ ინგლისის მუშებზე ვერ იმოქმედა.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ მიუხედავათ ამისა მუშათა კონგრესმა სავალდებულო სამხედრო ბეგარის შემოღების წინადადება ერთხმათ უარყო. მან სთქვა: თავისუფალ მოლაშქრეთა მოწვევითაც კარგად შეიძლება ვაწარმოვოთ, თუ კი მეორე მხრით საზოგადოთ პოლიტიკა გონივრული იქნება და მმართველნი ჩვენს ინტერესებს არ დაივიწყებენო.

ამნაირათ მუშათა კონგრესი ერთი მხრით თუ ომის გაგრძელების მომხრე გამოდგა, სამაგიეროთ მეორე მხრით იგი სამხედრო-ბეგარის შემოღების წინააღმდეგ სასტიკათ ამხედრდა. ამით მუშებმა ერთი ღონიერი დაკვრით თითქმის სულ ჩაშალეს ინგლისის კონსერვატიული პარტიის პლანი, რომლის წინააღმდეგ ინგლისის ლიბერალები ისე უგულოთა და უხალისოთ იბრძვიან. (რ. ვ.)

ბულგარეთ-ოსმალეთის შეთანხმება.

ბულგარეთ-ოსმალეთის შეთანხმების ხელშეკრულებაზე ორივე მხარემ 21 აგვისტოს მოაწერა ხელი. (კ. ს.)

სამხედრო ბეგარა ინგლისში.

ამ მწვავე კითხვის გადასაჭრელათ არჩეულ იყო საგანგებო კომიტეტი, რომელმაც თავისი, მუშაობა უკვე დაამთავრა. კომიტეტის 6 წევრიდან 4-მა სავალდებულო სამხედრო-ბეგარის ინგლისში შემოღებას მისცა ხმა, ხოლო მეხუთემ-მუშათა ფრაქციის წარმომადგენელმა წინააღმდეგ. თვამეტერმა, ლარდმა კრიუმ შუათანა პოზიცია დაიკავა, ამ ნაირათ კითხვა გადაუწყვეტელი დარჩა. საბოლოოთ საკითხის გადაჭრა პარლამენტის გარ ნამდე არ მოხდება.

გალიციეთის კონფერენციის.

გაზეთ „კ. ს.“-ს ტენევიდან აუწყებენ, რომ საბერძნეთის ყველა მთავარმა, მინისტრმა ვენიზელოსმა საბერძნეთის, სერბიის, რუმინიის და ბულგარეთის მთავრობათა შეთანხმება მოახერხა, რომ ქ. სალონიკში საერთო კონფერენცია გაიმართოს. (კ. ს.)

ინგლისის მუშების კონგრესი.

23 აგვისტოდან ქ. ბრისტოლში გაიმართა მეტათ საყურადღებო კონგრესი ინგლისის ტრედიუნინებისა კონგრესზე 3,700,000 მუშის დელეგატი გამოცხადდა, რიცხვით 5,000 დე. ამ კონგრესის გამო ინგლისის კონსერვატიული გაზეთი „ტაიმსი“ სწერდა: „მუშათა წინამძღოლებს დღემდე ისეთი საბედისწერო მომენტი არასოდეს არ დადგომიათ, როგორც ახლა: მთელი ქვეყნის მომავალი მათზეა დამოკიდებული და კითხვის გადაჭრა მათ ხელშია“. (რ. ვ.)

ქრონიკა.

რუსეთი.

მთავრობის გამოცვლა თუ სახელ. სათათბიროს დათხოვა.

პეტროგრადიდან მოსკოვის გაზეთებს ტელეფონით აუწყებენ, რომ თავრიდის სასახლეში (სათათბიროს დარბაზში) მინისტრთა საბჭოს სხდომის გახსნას დიდი მღელვარებით ელიან. როგორც ხმები ისმის საბჭომ მეტათ მწვავე საკითხი უნდა გადაჭრას: ან გორემიკინის კაბინეტი უნდა გადადგეს, ან სათათბირო უნდა დაითხოვონ. (კ. ს.)

— კიევის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი ქ. კურსკში ან დონის როსტოვში გადადის.

ნაძალადევი მოლვაწეობა.

რიგიდან იტყობინებიან, რომ სამხედრო მთავრობის ბრძანებით ქ. პერნოვის საქალაქო გამგეობამ თავ სი მოქმედება უნდა განაახლოს. (?) სხდომებზე დაესწრება კანტროლს გაუწევს პოლიციის მოხელე. (კ. ს.)

— ქ. სამარის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი მხარს უჭერს მოსკოვის რეზოლიუციას. (კ. ს.)

— სახელ. საბჭოს წევრის არჩევნების გამო ქ. ოდესაში კამათი გაიმართა კითხვაზე: სახელმწ. საბჭოში ერთი ადგილი უნდა მიეცეს ებრაელთა წარმომადგენელს, თუ არა. უმრავლესობამ თავის კანდიდატიც კი დაასახელა: ის არის წისქვილების პატრონი, გვარით ვაინშტეინი. (კ. ს).

უცხოეთი.

„ჯერ გამარჯვება, მერე რეფორმა“ ამბობდა ომის დასაწყისში გერმანიის მთავრობა, მაგრამ ამაზე პარლამენტი არ დაეთანხმა მას და ამით იძულებული გახდა იგი რეფორმების შემოღებას ომის დასრულებამდე შესდგომოდა. რეიხსტაგმა მართლაც „ძალა იხმარა მასზე“ და 15 აგვისტოს სამი განსაკუთრებული კანონი გააუქმა და მათ მაგიერ დაადგინა: 1) ნაციონალური ენის უფლების აღდგენა, არა სახელმწიფო—სამშობლო ენის ხმარების საზოგადო დაწესებულებებში და კრებებზე დაშვება, 2) პროფესიონალური კავშირების უფლებათა გაფართოება და 3) პოლიტიკურ ორგანიზაციებში შესვლის უფლება.

20 წლის განმავლობაში ებრძოდენ ამის საწინააღმდეგო სამ კანონს, მაგრამ ვერას გახდენ, ახლა კი ამ ომის დროს იმპერატორი ვილჰელმი იძულებული გახდა დათანხმებოდა რეიხსტაგს და გაეუქმებია ისინი (რ. ვ.)

4. სექტემბერი, ქ. ბუენოსი.

რუსეთი განიცდის სასტიკ ხანას თავის სახელმწიფოებრივ [illegible] ნულ ცხოვრებისას. [illegible] გები, რომლ[illegible] „გაერთიანება და გამარჯვება“ იყო, ჯერ ჩონჩხებათ დაფრინავენ რუსეთის მიდამოებზედ, რომელთაც სხეული ჯერ არ შეუსხავთ. ლაპარაკობენ „ცენტრის“ შექმნაზედ, მის ბლოკზედ. მაგრამ ეს ცენტრი იმდენად ძლიერი უნდა იყოს, იმდენად გამაერთიანებელი რუსეთის ხალხისა და ინტერესებისა, რომ ფრთები ჩუმად იქმნებიან და ცენტრი საკუთარ ფეხით ივლის. მოკლეთ, რომ ვსთქვათ, ცენტრს ამ ფრთების ატროფია სურს. უარჰყოფს რევოლიუციას, როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან და გამარჯვების ამოღება შუა ადგილიდან, „გულიდან“ სურს. მეორეს მხრივ, რუსეთის მარჯვენა და მარცხენა მიმდინარეობა თავისას არ შლის და სხვა და სხვა მხრით ერთსა და იმავე საგანს აწვებიან. მათ უნდათ შეავიწროვონ ეს ცენტრი და მთელი ტანისაგან მხოლოდ ნისკარტი დასტოვონ. მათ სურთ რუსეთისაგან წვრილფეხა წერო გამოსჭრან, რომლის მთელი ძალა ფრთებში იქნება. მაგრამ არც ამ ფრთებშია სოლიდარობა და მარჯვენას სურს მარცხენაზედ მარდი და მალი იყოს, რათა ავდარში მხოლოდ თავისით დაფაროს დასველებული ტანი რუსეთისა. რა უნდა გააკეთოს, მარჯვენას აზრით, მარცხენა ფრთამ ასეთ დროს? იგი ქვეშ უნდა დაჰყვეს რუსეთის მძიმე სხეულს და დაიმტვრეს! აი სურათი ბრძოლის იმ შედეგისა და იმ კომბინაციებისა, რომელიც განზრახულია ამ ჟამად რუსეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივ სფეროებში.

მაგრამ ომი, გამარჯვება? ყველაფერი ეს ხომ ამ გამარჯვებისთვის არის განზრახული! ამაზედ პასუხი ერთია. ომი და გამარჯვება ისეთი იქნება, როგორიც დასასრულ მოქიშპე თეორიათა შორის. „ვინ დავზოგოთ, ან რა დავზოგოთ? განა ჩვენ გვზოგავენ? დგება მომენტი, როცა გამარჯვების გულისთვის ხელი უნდა ავიღოთ ცრუმორწმუნოებაზედ და საკუთარი ცხოვრების გულისათვის დავივიწყოთ სხვისი სიცოცხლე. ჩვენი სინამდვილის შავ ზეწარზედ უნდა დაიწეროს: რუსულ სისხლის ზღვაში ღორძინებდა დიდი მართლმადიდებელი რუსეთი! ვინც მასთან არის ის მეგობარია მისი და სწორუფლებიანი ძმა, ვინც არა, მტერია და სიკვდილი მას! ეს იქნება რუსეთის რეალური პოლიტიკა და დასაწყისი დიდებული ხალხის აღდგომისა პირადის ბედნიერებისთვის“. აი, სიტყვები რომელიც მემარჯვენეებს ეკუთვნიან. ასე სწერდნენ ამ დღეებში „პეტროგრადის ვედომოსტები“. ვინ უნდა მიიღოს თავის თავზედ ეს სიტყვები? ძნელია ამის თქმა, ამ სიტყვებისა, რომელშიაც პატრიოტიზმი კანიშალურათ არის გამოთქმული, თვით რუსებს შეეშინ დათ და პროგრესიულმა პრესამ მის ავტორებს ნაძირალები და გარეშე წრეები უწოდეს, რადგანაც ანარ ხიისადმი მოწოდება დაინახეს, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ საქმე მარტო ამ მოწოდებით არ თავდება. დაჟინებით ლაპარაკობენ სათათბიროს დათხოვნაზედ და ეს უფრო აორკეცებს შიშსა და გაუგებრობას, ნელ-ნელა ხდის იმ ფარდას, რომლის იქით წევს ომის მერმინდელი რუსეთი, მისი წყალობა რისხვა ჯერ კუთვნილებისამებრ არ ჩამოურიგებიათ.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ქუთაისის გუბერნატორმა კამერიუნკერმა ბ-მა პოტულოვმა ნება დართო ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლს თ-დს დავით ოტიას ძე ნიჟარაძეს, მოიწვიოს 20 სეკტემბერს არაჩვეულებრივი კრება შემდეგი კითხვების განსახილველათ: 1) კავკასიის ერობის საკითხის შესახებ.

2) პროტესტი ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლისა ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო მიხეილის ბანკის მიმართ, რომ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თ.დ. დ. ო. ნიჟარაძეს განსაზღვრულ თანხას აძლევენ.

3) პროტესტი ამავე წარმომადგენლისა შესახებ იმისა, რომ ხსენებული ბანკი საიზნაურო გიმნაზიის საპენსიო კასიდან ფულს აძლევს იმ მიზნით, რომ საპენსიო კასას ეს ფული დაუბრუნდეს ბანკის ძირითადი თანხიდან.

✦ დღეს, 4 აგვისტოს, მოხდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის კრება.

✦ 15 სეკტემბერს ქუთაისში გამოვა ახალი ყოველდღიური გაზეთი „მეგობარი“.

✦ ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის პირველ განყოფილებაში წარსულ გამოცდებზე დაშვებული იყო 1 კლ. 60-მდი მოსწავლე. მიიღეს მხოლოდ 48 მოსწავლე.

✦ ამიერ-კავკასიაში ახლად დანიშნული მეფის მოადგილე მისი იმპერატორობითი უმაღლესობა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე თფილისში 18 ეკენისთვეს ჩამოვიდა.

✦ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი თ-დი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე ამ ჟამად ქალაქ თბილისში იმყოფება.

✦ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ზესტაფონის განყოფილებას სოფ. დაბლა საქარაში ახლად განსვენებულ ვაჟა-ფშაველას სახელობაზე გაუხსნია წიგნ-საცავ სამკითხველო. ამ დღეებში აკურთხებენ.

✦ ოთხშაბათს, 2 აგვისტოს, მიხეილ წულუკიძის ლექცია სხვადასხვა მიზეზების გამო არ შესდგა.

✦ 1 სექტემბერს, ქართველ ქალთა მიერ გახსნილ სახელოსნო სასწავლებელში ამავე შკოლის გამგეობის თაოსნობით პარაკლისი გადაიხადა მღ. ლეკვიაშვილმა. დასასრულ წარმოსთქვა მეტად გრძნობიერი სიტყვა: შეეხო შკოლის მნიშვნელობას და უსურვა ჩვენ ქალებს მუდამ შრომით და ენერგიით ეხსნათ თავი ყოველივე გაჭირვებისაგან და მით აღარ ყოფილიყვენ შემყურე სხვისი ხელისა, რამაც ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა ძოსწავლე ქალებზე, როგორც მოსალოდნელი იყო წელს წინმსვლელობა ეტყობა ხსენებულ შკოლას. იმედია მომავალშიაც ყურადღებას მიაპყრობს მას ჩვენი საზოგადოება.

✦ როგორც გურიიდან გვატყობინებენ, ერობისათვის მზადესაბ უკვე შეუდგენ.

✦ ჟურნალ-გაზეთების ცნობით, კიევის უნივერსიტეტი ნოვო ჩერკასკში გადაუტანიათ.

✦ ქალაქ ქუთაისში სათადარიგო ჯარის კაცთა შემოწმება გუშინ, 3 ენკენისთვეს დასრულდა. შემდეგი კომისია იქნება ორშაბათს, 7 ეკენისთვეს.

✦ სოფელ ლახუნდარაში (შორაპნის მაზრა) ამ ახლო მომავალში გაიხსნება უფასო წიგნ-საცავ სამკითხველო. ამის შესახებ ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ზესტაფონის განყოფილების გამგეობასთან შუამდგომლობა უკვე აღუძრავსთ.

✦ როგორც სოფელ ბახვიდან (ზუგდიდის მაზრა) გვწერენ, კვირას, 23 აგვისტოს, ოზურგეთის მაზრის უფროსის თანდასწრებით ხალხმა ყრილობაზე დაადგინა: ხსენებულ სოფელში გაიხსნას ოზურგეთის პირველ დაწყებითი სასწავლებლის პარალერული კლასი. შუამდგომლობის აღსაძრავათ ამორჩეულ იქნა მღვდელი თევდორაძე და ი: ჭელიძე.

✦ პროფესორი ნ. მარი, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში თავის მამულში სცხოვრობდა გურიაში, პეტროგრადს გაემგზავრა.

✦ ბალახვანის და არქიელის გორის სამკითხველოების სამზრუნველო კომიტეტები 6 სექტემბერს ქალაქის ბაღში გამართავენ სახალხო სეირნობას ამავე სამკითხველოთა სასარგებლოთ.

✦ იმ სახალხო მასწავლებლთ, რომელთაც წითელი ბილეთები ჰქონდათ, სამხედრო ბეგრის მოსახდელათ განსაკუთრებულ განკარგულებამდის არ გაიწვევენ.

✦ ქალაქ ქუთაისში ახლად გახსნილ კომერციულ სასწავლებელში სწავლა 7 სექტემბერს დაიწყება.

✦ ქუთაისის მაზრის სამხედრო უფროსმა წინადადება მისცა ქუთაისში მყოფ იმ პრაპორშჩიკებს რომელთაც თავისუფლების ბილეთი არ აქვთ, დაბრუნდენ თავთავის ადგილას, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

— ქალაქის სანიტარის ფერშალმა შავგულიძემ სანიტარულ წესრიგის დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა შემდეგ პირებს მ. ბაბუნაშვილს, ვ. კუხიანიძეს, ვაშაგეიშვილს, კვანტელიანს, იმედაძეს, ილ. შავგულიძეს, დავ. გვახარიას, ს. ბაბუნაშვილს და მ. გოგისვანიძეს.

✦ ქუთაისის ოლქის სასამართლოს სისხლის განყოფილებაში კაირჩა დიდია შალამბერიძის საქმე, რომელსაც ბრალდებად მკვლელობა. სასამართლომ შალამბერიძის ქალი დამნაშავეთ სცნო და მიუსაჯა დირსების აყრა და 4 წლის გამასწორებელი რაზმი.

✦ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებამ სოფ. ჯვარისის მასწავლებელი ბოჭორიშვილი ბორჩალოს მაზრაში დაინიშნა მასწავლებლად.

✦ წელს სრულდა ასი წელიწადი მეფე ერეკლეს მდივნის სოლომონ ლეონიძის გარდაცვალებიდან. განზრახულია ამ დღის აღნიშვნა.

✦ ქუთაისის სამხედრო ლაზარეთში ამ ჟამად იმყოფება 411 ავადმყოფი 62 მათგანი ტიფით არის ავად.

— **სანოვაგე.** ამ დღეებში ქალაქ ქუთაისში მიდებულ იქნა 30 ვაგონი შურის ფქვილი, 19 ვაგონი სიმინდის ფქვილი. 1012 ფუთი შაქარი და 3 ვაგონი მარილი.

✦ ქუთაისის ქართული გიმნაზიის 8 კლასის მოსწავლეს ბიქტორ მხეიძეს ამ ზაფხულში გაუმართავს წარმოდგენა სოფ. ბობოთში. წარმოდგენის შემოსავლიდან 9 მანეთი შეუწირავს ხრესილის სამკითხველოსათვის და ექვსი მანეთიც გადაუცია ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილეობის გამგეობისათვის აწიოკებულ აჭარელთა სასარგებლოთ.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ფელეტონში, მეოთხე სვეტის მეცხრე სტრიქონში ზევიდან შეცდომით **დაბეჭდილია:** ხოლერისათვის. **უნდა იყოს:** ხოლერის დროს.

პროვინციის ცხოვრება.

ხოფ. ნაგარევი. 30 აგვისტოს სოფ. ნაგარევში გაიმართა იაფ ფასიანი წარმოდგენა, რომლის შემოსავალიც უნდა მოხმარდეს ამ სოფლის მომავალ სკოლას. წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა და საზოგადოებაც ნასიამოვნები დაიშალა. საზოგადოება დიდი თანაგრძნობით მოეპყრა ამ სიმპატიურ მიზანს და ბილეთების ყიდვის გარდა, კერძო შემოწირულებაც გამოიღეს სკოლის სასარგებლოთ.

ანგარიში გამოცხადებული იქნება 8 ეკენისთვეს „ღვთიშობლობას“, და ფულიც გადაეცემა საზოგადოებისაგან არჩეულ სანდო პირს.

ხიკთარგა. წრეევანდელ მოუსავლობასთან და ათასგვარ გაჭირვებასთან ერთად აქაურ მცხოვრებლებს თავს დაატყდა შანტაჟისტების თარეში. უაიარალო ხალხი გულხელდაკრეფილი შეჰყურებს მათ მოქმედებას და ვერაფერი გაუწყვია. დღეს ერთი ხდება ამ ვაჟბატონების მსხვერპლი, ხვალ მეორე და ამგვარად ხალხის მცხოვრებლების აწიოკებას ბოლო არ უჩანს; ამავე დროს მთავრობა თავისი მხრით ბრალს სდებს სოფლელებს, ვითომც ისინი ყაჩაღებს მაილავდენ; მიადგებიან რომელიმე მოსახლეს სტრაჟნიკები და გამასპინძლებას მოითხოვენ. თუ არ გაუძასპინძლდა მათრახებით გვერდებს აუპრელებენ. ერთი ასეთი ამბავი მოხდა 25 აგვისტოს ღამე მესხის სახლში. საჭიროა მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ხალხის ასეთ მდგომარეობას

სადიდეთ. (ზუგდ. მაზრა) 30 ივნისს აქ სენსაციური ამბავი მოხდა. ტყეში გაიტყუეს და მოკლეს ა. ჭანტურია. მეორე დღეს გამოსაძიებლათ მოვიდა ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელი ბ.ვ. ფიჩხაია. მოახდინა სოფლის ყრილობა, მაგრამ ამ საქმეზე არავინ არაფერი იკოდა. აღმოჩნდა მხოლოდ ორი პირი ნიკოლოზ ჭითავა და მეწისქვილე, რომელთაც შეენიშნათ საღამოზე ორი უცნობი პირი. ეს ამბავი მათ თავის დროზე აღიარეს. მაგრამ ბ. ფიჩხაია ამით არ დაკმაყოფილებულა. გამოუყვანია საზოგადოებიდან ჭითავა, წაუყვანია ტყეში სამი ჩაფრის თანხლებით, გაუტიტვლებიათ და ისე უწყალოთ უცემიათ, რომ მისი ყვირილი იქაურობას აყრუებდა თურმე. ცემას თავი მხოლოდ მაშინ დაანებეს, როცა საწყალი მსხვერპლი გულ წასული დაეცა მიწაზე.

ჭითავამ გუბერნატორს თხოვნა მისცა ამის თაობაზე. ვნახოთ რით დასრულდება საქმე.

საჩხერე არაფერი ეშველა საჩხერის ხიდის გაკეთებას. ბევრი ფული მოიკრიფა, მაგრამ დასრულება მისი არ მოხერხდა. მთელი საჩხერის საბოქაულო ამ ხიდს ვერ აშორდება. ისე წელიწადი არ გავა, რომ წყალმა არა თუ ერთი და ორი, რამდენიმე კაცი არ იმსხვერპლოს. კარგი ხანია, რაც შავი ქვის საბჭომ გადასდვა ფული ამ ხიდის მოსათავებლათ, მაგრამ ჯერაც არა გაკეთებულა რა.

✦ 24 აგვისტოს ამ ხიდიდან გადავარდა 70 წლის ცქიტიშვილის ქალი და რომ მედუქნე გიორგი იაკობიძე არ შესწრებოდა, უთუოდ დაიხრჩობოდა. საწყალს თავი ქვაზე თაუხლია და გაუტეხია. ექიმის სიტყვით, მისი მორჩენა საეჭვოა.

მივაქცევთ საზოგადოების, შავი ქვის საბჭოსა და მთავრობის ყურადღებას, რაც შეიძლება მალე გაკეთდეს ხიდი, რომ თავიდან ავიცილოთ უბედური შემთხვევები.

ჟურნალ-გაზეთებიდან

აბაშის საზოგადოება. აბაშის დამშეულ 391 ოჯახს ადგილობრივმა ადმინისტრაციამ 25 აგვისტოს დაურიგა 3875 მანეთი. გაიგეს თუ არა, რომ დამშეულებს ფულს ურიგებენო, აბაშის სამართველოსთან აურაცხელმა ხალხმა მოიყარა თავი. სამწუხაროთ, დამშეულ ოჯახთა რიცხვი გაცილებით მეტი აღმოჩნდა და დარჩენ ხელცარიელნი. საჭიროა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ კიდევ აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე მიეცესთ დახმარება სესხის სახით როგორც დარჩენილ ოჯახებს, ისე მათაც ვინც მიიღეს, თორემ ეს ფული მათ ერთი თვის საზრდოთაც არ ეყოფათ.

სინგილო. ზაფხულის სეტყვამ, ნიაღვარებმა და სიცივეებმა სინგილოში ჭირნახული სრულიად წაახდინა. პურის მოსავალი აქ ძალიან მცირე იყო და რაც მოვიდა საქმელათ უვარგისია: გემო მწარე აქვს და მაწყინარიც არის. თაგვმა ხომ დათესილი ყანები, რომელიც კიცუდ ტარიხს გადურჩა, გაანახევრა მოსავალიც წელს ძალიან ნაკლები იქნება. ჯერ ერთი შაბიაბნის გაძვირების გამო ხალხს ვენახები მოურწყავი დარჩა და მეორეც ზაფხულის სიცივეებმა ვენახები მთლათ გაფუჭა.

არაა ბრინჯისა და ხილის მოსავალიც კარგი. ბრინჯი ადგილ-ადგილ ყვითლდება და ხმება, ასე რომ საინგილოებს წელს დიდი მოსავლობა მოელისთ. საბრალო ბრინჯის ზომების მიღება შიმშილობის თავიდან ასაცილებლათ.

ქ. ქალებისადმი.

დასრულდა დასვენების სეზონი და იწყება შრომა-მეცადინეობის დრო, ყველა მშრომელი, ვისაც დრო და გარემოება ხელს უწყობდა ზაფხულზე დაისვენა, განახლებულის ენერგიით შეუდგება თვისი მოვალეობის ასრულებას.

რას ვიზამთ ჩვენ, აქაური ქალები? შევუდგებით კეთილ სინდისიერად ჩვენი მოვალეობის ასრულებას, თუ უპირატესობას მივცემთ ლოტოსა და ბანქოს თამაშს?.

დღემდი ქუთ. ქალების უმრავლესობა თითქმის ერთ წერტილზეა გაყინული, თამამად შეიძლება მათზე ითქვას: „ვერაფერი ვერ ვისწავლეთ. ყველაფერი დავივიწყეთ“. არც ძველში ვწერივართ ალარც ახალში, ძველი დარბაისელი ოჯახი კლუბზე შეიცვალა, შვილებისთვის თავგანწირული დედა ბანქო-ლოტოს უაზრო მონა გახდა. სად წავიდენ თანამედროვე ცეცხლით გატაცებული ქალიშვილები, სად არის ამ ხანის შესაფერი ქალი, რომელსაც შეგნებული უნდა ჰქონდეს მოვალეობა თავის-თავისადმი, საზოგადოების და ოჯახისადმი?! ნუ თუ დღეს, მეოცე საუკუნეში, როდესაც ქალებს იმდენი გვაქვს გასაკეთებელი ჩვენი საკუთარი საქმე, უნდა ვათენ-ვაღამებდეთ ბანქო-ლოტოს თამაშში?! ნუ თუ ამდენი ხნის უუფლებო, უტყვი მონა ისევ ძველ გზას დავადგებით სხვისი მოწყალების შემყურე?!

მაშინ კი ჭეშმარიტად ალარ იქნება გასაკვირვალი ჩვენი დიდებული მწერლის კითხვით ნიშანი: „ქალია ადამიანი“?!

ამ ათი წლის განმავლობაში ბევრი რამ ვნახეთ, ბევრი განვიკადეთ, ბევრიც უნდა გვესწავლა, მოგვეპოებია, მაგრამ განცდამ, მხოლოდ მოდის სახე მიიღო, იდეია ფერად კაბებზე დახურდავდა, მებრძოლი სული ვნების ალმა ჩანთქა.

ჩვენ ისევ, მხოლოდ ქალად დავრჩით.!

რა ვისწავლეთ ამ ათი წლის განმავლობაში, არსებითად რაში გამოვიჩინეთ ჩვენი შემოქმედებით ძალა?!

მთელი ჩვენი საქმიანობის უნარი, მთელი ჩვენი პროგრესიული მოღვაწეობა მხოლოდ და მხოლოდ „ვეჩერების“ გამართვით განისაზღვრება.

ნუ თუ ჩვენი სოციალურ-ეკონომიური დამოუკიდებლობა იმდენად უზრუნველყოფილია, რომ ჩვენგან მეტია მასზე ზრუნვა, ან იქნება გვგონია, რომ ევროპაში ქალები ჩვენზე უფრო შეეწროებული არიან და მოტომ იბრძვიან უკეთესისათვის?

თუ ჩვენ ვაპირებთ ოდესმე გამოფხიზლებას და არ გიზიარებთ გორელი ქალების ლოზუნგს: („ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვინდა მხოლოდ ნემსით აღზდილი ქალებიო",-) აუცილებლად ყველა ჩვენგანმა აქტიური მონაწილეობა უნდა მივიღოთ არსებულ ქალ. ორგანიზაციების გაუმჯობესობაში. ჩვენთვის აუცილებელი საჭიროა ქალთა მჭიდრო ხაზოგადრებები, რომლის, საშუალებითაც უნდა გაფართოვდეს და გაღრმავდეს ჩვენი პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული შემეცნება და რომლის საშუალებითაც მეტს სინათლეს შევიტანთ მასსაში.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ქუთ. ქალთა საზოგადოება ამა წლიდან ენერგიულად შეუდგება თავის მოქმედების გაფართოებას, თუ დღემდი (როგორც ახალი დაწესებულება) ვერ აკმაყოფილებდა ბევრის სულიერ მოთხოვნილებას, ამიერიდან ამედი გვაქვს განახლებული გამგეობა საზოგადოებისა მეტ უნარს გამოიჩენს.

გამგეობის შრომამ, ტყვილად რომ არ ჩაიაროს, ჩვენ მოვუწოდებთ ქუთ. მშრომელ ქალებს მეტი თანაგრძნობა გამოიჩინონ საზოგადოებისადმი, რადგან საზოგადოებას დიდი სამსახური შეუძლია გაუწიოს ქალების მდგომარეობის გაუმჯობესებას, თუ ის რიგიანად იქნება დაყენებული. გამგეობა უსაზოგადოებოდ და საზოგადოება უგამგეობოდ ვერაფერს გაიკეთებს, საჭიროა არის მჭიდრო კავშირი ურთი-ერთ შორის და საერთო საქმეც გაიჩარხება.

ახლო მომავალში უნდა მოხდეს გაგრძელება საზ. საზოგადო კრებისა, რომელზედაც ასარჩევია საარჩევნო კომ. წევრნი და კანდიდატები, იმედი გვაქვს ქალები ბევრი დაესწრება და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ, მასთან ვიმედოვნებთ არ გაბმეორდება ის უწესო-რიგობა, რომელიც იყო წასრულ კრებაზე, რომ კიდევ არ მიეცეს მეტი მასალა „მათრახის" უმსგავსო კალმოსანს.

ც.—ემანუილ

ეგრაელების იმედი.

დასასრული. იხ. „სამშობლო" №167.

პატივცემულ „სამშობლოს" მკითხველებს ეხსომებათ, სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული დეპეში, ვითომ ქალაქ კუეში ებრაელობას საარდაფებში დაეძალოს ნემცები და მით რუსებისათვის დიდი ზარალი მიეყენებინოს. „ნოვოე ვრემიამ" ხომ ათასნაირი მოწამლული წერილები სწერა ჩვენს წინააღმდეგ, რომელი წერილებიც მთელ რუსეთში ქალაქებსა და სოფლებში შავ-რაზმელებმა ქუჩა-ქუჩა გამოაკრეს ხალხის აღელვების მოსახდენათ. ხოლო თუ ეს ვერ შესძლეს იმიტომ, რომ მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო პაგრომშრიკების ასალაგმავათ.

დეპუტატი ფრიდმანი იმოწმებს სათათბიროს წევრს კერენსკის, რომელმაც ადგილობრივ გამოარკვია საქმე. აი რას აცხადებს ორივე დეპუტატი: „თავიდან ბოლომდე სულ ღყუილი ყოფილა დეპეშის ცნობაო. საარდაფებიანი სახლი გარდა ერთისა სულაც არ აღმოჩენილა ამ ქალაქში და ამ საარდაფსაც სიგრძე 4 სიგანე—კი სამი არშინი ჰქონებია, ასე რომ კაცი ვერც კი მოთავსდებოდა შიგ და მეორე მარცხი მოუხდა ჩვენს ჯარს 28 მაისში. 27 მაისს კი ებრაელიც აღარ ყოფილა ქალაქ კუსში, რომელზედაც დეპეშა ლაპარაკობს და არც მის მახლო რაიონში. ებრაელები გამოსული ყოფილა სამხედრო უფროსების ნებართვით აი, ეს უმთავრესი ჭორი შემარჯვენეებისა დაიმსხვრა და სალაპარაკო მასალაც შემოელიათ. დეპუტატმა ფრიდმანმა ლალატის მაგიერ დაასაბუთა ებრაელების ერთგულება რუსეთისადმი და თავის სიტყვა შემდეგი ეპიზოდით დაასრულა. ლიტვის ერთ ქალაქში, როდესაც მტერი ქალაქს შემოადგა, ებრაელობამ სამლოცველოში მოიყარეს თავი და ლოცვა-ტირილით მიმართეს უფალს. მათმა მოხუცმა რაბინმა გახსნა კვიტო, გამოასვენა, დაბადება და შესტირა: „უფალო მიიღე ჩემი სული და ქალაქი კი გადაარჩინეო" ამ ლოცვა-ტირილში რაბინმა, მართლა, განუტევა სული. აი, ასე სწირავენ თავს რუსეთს გამარჯვებისათვის ებრაელები, მიუხედავათ იმისა რომ ისინი სტანჯავენ და აწიოკებენო, დასძინა დეპუტატმა. ყველა წვრილი ერები, რომელნიც ასე ერთგულათ იბრძვიან რუსეთისათვის, სიხარულით მოელიან თავისს უფლებების აღდგენასო.

შეიგნეს თუ არა მემარჯვენეებმა და ოკტომბრისტებმა თავისი დანაშაულება—ეს სხვა საკითხია, მაგრამ ერთი რამ კი ცხადი შეიქნა: ჩვენი სიმართლის დარღვევა მათ ვერ შესძლეს და ამისათვის საკითხი ცოტა ხნით მაინც თავიდან აიშორეს: როგორც ეტყობა, მთავრობა კი ნელნელა მიმხვდარა ებრაელების უსაბუთოდ დაჩაგვრას და შესდგომია მის ტანჯვის შემსუბუქებას. 4 აგვისტოს უკვე სამინისტროს გადაწყვეტილება ძალაში შესულა, რომლის ძალითაც ნება ეძლევათ ებრაელობას მთელ რუსეთის სახელმწიფოში ქალაქებსა და სოფლებში ცხოვრებისა, გარდა სატახტო ქალაქისა. ამ ნაირათ მოისხნა აგრეთწოდებული „ჩერტა ასედლოსტი", რომელიც სულს გვიხუთავდა და რუსეთისათვის კი დიდი მოურეცხავი ჩირქი იყო. თუ დავუჯერებთ სატახტო ქალაქის გაზეთებს, ბოლოღნელია კიდევ ებრაელების უფლებების გაფართოვება. მართალია, ვინც გრძნობა ნაკლები არ არის, ის მიხვდება, რომ ეს სრულიად არ აკმაყოფილებს ჩვენს ეროვნულ საკითხებს, მაგრამ, მაინც, ისტორიულ დღეთ უნდა ჩითვალოს ოთხი აგვისტოს დღე, რადგანაც ვხედავთ, რომ რუსეთი დაადგა პროგრესიულ გზას; ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ამ ამბავს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, „რუსკოე სლოვოს" სიტყვით მინისტრთა საბჭოში ყველაზე მეტათ დაუცავს ეს საკითხი იუსტიციის მინისტრს ხვოსტოვს. ვინც კი იცნობს მის უკიდურეს რეპრესიებს ებრაელების წინააღმდეგ, როცა ის ნიჟნი ნოვგოროდში გუბერნატორათ იყო, იგი იფიქრებს, მართლა ამ ტანჯული ერის სიმართლეს გზა გაუკვლევია და არღვევს იმ ბნელ კედლებს რომელიც მას გარს ერტყაო.

დავით ბაზოვი.

სოფლეგის უგედურეგა.

მიუხედავათ იმისა, რომ სოფლებს მწარე შიმშილი მოელისთ, ისინი მაინც არ კარგავენ ძველ ცუდ ჩვეულებებს და ასეთ უნუგეშო დროს უსარგებლო ხარჯებს არ ერიდებიან. ასეთი ხარჯებია: ქელეხი, მიცვალებულზე ხარჯი. და აგრეთვე დღესასწაულებზე ყოვლათ უმზგავსო დიდი ხარჯები. სოფ. ვარციხემ (ქუთ. მაზრა.) ვერ შეიტყო დღევანდელი აუტანელი მდგომარეობა და დიდის ამბით გადაიხადა მარიობა 15 აგვისტოს (ამ სოფლის დღესასწაულია) სოფ. როხი კი, ახლო მომავალში აპირობს ძველ მოვალეობის ასრულებას და უკვე შეუდგა მზადებას, რომ „სახელოვანათ" გადაიხადოს 8 ეკენისთვის დღესასწაული „ღვთის მშობლობა". ყოველ წელს ღვთით ძალზე მთვრალი ხალხი ამ დღეს, გამოდის თემში, დაერევა ერთი მეორეს და თავ-პირს უმტვრევს. ხშირი მოვლენაა კაცის მსხვერპლიც. აი, ასეთი შემთხვევებია სოფლათ მაშინ, როცა ისინი ყოველ მხრივ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან. ყოველ ოჯახში მარტო ბავშვებს და მოხუცებს ხედავთ. იშვიათია ისეთი ოჯახი, რომ ერთი იმედიანი მუშა ხელი ყავდეს. ვენახები სრულიად გადამხმარია და ყანებიც ძალზე დაზარალებული. ასეთი უნუგეშო დროში ბრმაც კი მიხვდება, რომ ზედმეტი ხარჯები სოფლის ოჯახების სრულიად მიწასთან გასწორებას ნიშნავს!.. ვნახოთ სოფ. როხელები როგორ გამოიჩენენ კეთილ შეგნებას და უსაფუძვლო ხარჯებს თავიდან აიცდენენ. საყურადღებოა ამ სოფლის ადგილობრივი მთავრობაც, როგორ დაიცავს წესრიგს „მანამდე" და თვით იმ „დღეს"...

გედა-როხელი.

დ. ზესტაფონი.

27 მარიობისთვეში აქ მოელოდენ ბ. ქუთაისის გუბერნატორს და სხვათა შორის, იმ დღისათვის საჰზადისს შეუდგენ, რომ გუბერნატორის თანადასწრებით კურთხეულიყო ახალი მეორე ხიდი, რომელიც უკვე მზადაა, მაგრამ კურთხევა სხვა დროისთვის გადაიდვა გუბერნატორის მოუსვლელობის გამო.

ბაბის მცხოვრებლები ბევრს დღიურ ჭირ-ვარამზე უნდა მოლაპარაკებდენ ბ. გუბერნატორს თავი და თავის საზრუნავი აქაურობისა იყო და არის საშუალო სასწავლებლის გახსნა ინიციატივა ამ საქმეში იკისრა ადგილობრივმა წ. კ. გ. საზოგადოების განყოფილების გამგეობამ, რომელმაც, აირჩია რა თვის შორის კომისია სამი კაცისაგან შემდგარი, მიანდო მას წინასწარი ცნობების შეკრება, მასალების დამზადება ნიადაგისათვის. შემდეგ კი მოწვეული იქნებოდა საზოგადო კრება რომელსაც წარედგინებოდა დამუშავებული ცნობები: ამ ლირს საყურადღებო საგანზე ზესტაფონლები ფიქრობენ მოახსენონ გუბერნატორს რომ მან დახმარება აღმოუჩინოს თვისი მხრით. საზოგადოების საქმეა როგორ ტიპს სასწავლებლებისას აირჩევს იგი კლასიკურ გიმნაზიის მეორე საშუალო სამეურნეო სასწავლებლის.

გარდა ამისა საჭიროა ეთხოვოს მთავრობას მიაქციოს ყურადღება შანტაჟისტ-ავაზაკების თარეშს ჩვენს მაზრაში.

ჩვენს მაზრას წელს დიდი გაჭირება მოელის ღვინისა და სიმინდის მოუსავლობის გამო. ვენახები მთლად გახმა, ე. ი. მტევანი, რაც გაზაფხულზე გამოიღო სავსებით მოისპო და აღარ ვარგა. სიმინდს აქნამდის კიდევ თვალი ედგა, მაგრამ თან და თან ირკვევა ამ ქამად, რომ მისი მოსავალიც ძლიერ ნაკლები იქნება, რადგან ნახევარი უტაროვია და ისეც „გამომწვარია". ამისთვის დროით უნდა შეუდგენ თავ-დარიგს სიმინდის მოსაპოებლად; გადასახადებს მობოქვა ან უნდა გადაიდოს, ან სრულიად ეპატიოს წელს მცხოვრებლებს. შარშან მიცემული სესხად სიმინდი მკვდრთ არ უნდა გადახდეს.

ნამეტნავად აწეულმა ხელოვნურად სიძვირემ ყველაფერზე, როგორც საჭიროებში გასაყიდელზე, ისე სოფლებიდან შემოზიდულ სურსათზე, თუ კიდევ დიდხანს გასტანა, თქვენი მტერია შევიწროვდება მცხოვრებლები, სიტყვამ მოტანა და უნდა ითქვას: რამდენი ხანია თხოვნა მიცემულია სადაც ჯერ არს კოოპერატივის გახსნის ნება-რთვის შესახებ და ჯერაც არავითარი ხმა ისმის იმაზე. ნეტავი რას აგვიანებენ!

დიდი ხანია აგრეთვე თფილისის ქართულ საქველ მოქმედო საზოგადოებას ეთხოვა აქ განყოფილების დაარსება მაგრამ ეს საქმეც ჯერ არ ასრულებულა.

გუშინ, 31 [illegible] წასულის დუგოძის [illegible] ქალი ქედან წყალ[illegible] შიგ ჩავარდა და დაირჩო.

ახლოხან გვეწვია საგლეხო საკრებულოს მწევრი ბ. მიხაილოვსკი, რომელსაც მანდობილი აქვს საზოგადოებას რეორგანიზაცია, თანახმად ახლად შემუშავებული კანონისა. როგორც მოგეხსენებად საზოგადოება უნდა შესდგებოდეს 400 კომლზე არა ნაკლები და 1000 არა მეტი. ზესტაფონში კი არის 80 კომლი გლეხისაგან შემდგარი საზოგადოება, ეს იმ საზოგადოებით, რომ შემდეგ დაბა „პიადათ" გადაკეთდეს. ამ „პიადის" დამტკიცებაზე დიდი ხარჯი გასწიეს აქაურებმა, მაგრამ ჯერაც უძრავადაა ეს საქმე. ამბობენ, ერთიც თუ დარჩა ქალალდზე ხელ მოუწერელი, ბოლო არ მოელებაო. აი, ამ წევრმა სთხოვა აქაურ ვაჭრებს შეუერთდენ სოფლებს და შეადგინონ მათთან ერთად ერთი საზოგადოება, მაგრამ ვაჭრებმა შორს დაიჭირეს! ჩვენ წინმსვლელობას ვცდილობთ და არა უკან დახევასო სხვათა შორის, ჯერ კიდევ ბ. მანსვეტოვს, ყოფილს მაზრის უფროსს, ეთხოვა დაეწესებია აქ მარტივი თვით-მართველობა, როგორიცაა ზოგიერთს სხვა დაბებში, მაგრამ [illegible] უმტკიცნა აქაურებს [illegible] ინახოთ ახალი მაზრის უფროსი რა თვალით შეხედავს ამ საკითხს. ასეთი თვით მართველობა საქმეს უფრო მოაწესრიგებს, გაიგებს ხალხი შესავალ—გასავალს, რაში რამდენი იხარჯება და რა უფრო სჭირია დაბას, თორემ მამასახლისს მწერალს, მასთან შემწეებს რომ ჯამაგირი ეძლიოს, ამით საქმე წინ ვერ წაიწევა.

კ. მ—ლი.

რედ.-გამომც. ი. თ ცინცაძე.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

—| ა ბ ა ნ ო. |—

აბანო მდებარეობს მადლობ ბუნებით შემკულ მთის ჭალზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საუმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაუოდილ ცივებს (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი ცივიც და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბიხა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძვირი ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სურნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სურნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამოობით.

თ.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი

ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები,

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქალალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საუმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.

იწრაფმბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.